ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4648654

ნომერი: AR1702943

თარიღი : 22.08.2019

გაცემის თარიღი : 27.08.2019

გაცნობის თარიღი : 29.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

განცხადებით მოგვმართავს სს „თიბისი ბანკი“ . წარმოდგენილი 10.01.2019 წლის მინდობილობით განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება. შპს „მაგთიკომის“ 18.07 2019 წლის თანხმობა შენობის შესასვლელში აბრის მოწყობაზე მისაღებია. შპს „მობილფონის“ 13.08.2019 წლის თანხმობა შესასვლელ კარზე აბრის მოწყობაზე მისაღებია. განცხადებაზე წარმოდგენილია ასევე ფიზიკური პირების მიერ გაცემული თანხმომები (ან მათი მინდობილი პირების), რომელიც არაა სანოტარო წესით დამწმებული აქედან გამომდინარე არაა მისაღები საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებზე. გაითვალისწინეთ, რომ 28.11.2017 წლის #171384575 მინდობილობით სანდრო ღვინჯილიას სახელით გია ღვინჯილიას არ აქვს უფლებამოსილება გასცეს თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენლ იქნეს განახლებული მინდობილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე გაითვალისწინეთ, რომ გიორგი გულორდავას მიერ გაცემულ მინდობილობას ვადა აქვს გასული. იმ შემთხვევაში თუ თანხმობის გაცემა მოხდება მინდობილი პირის მიერ გაითვალისწინეთ, რომ წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ძალაში მყოფი. რაც შეეხება გიორგი ლატარიას და დავით ლატარიას მიერ გაცემულ მინდობილობას, გაითვალიწინეთ, რომ ზემოაღნიშნული პირების პირადი ნომრები და მინდობილობაში და საჯარო რეესტრის ამონაწერში არის სხვადასხვა, აქედან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში წარმოგენილ იქნეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ აღნიშნული პირები ერთიდაიგივეა. ამონაწერში ფიქსირდება სარგებლობები საჭიროა განიმარტოს და დადგინდეს ეხება თუ არა დაგეგმილი სამუშაოებით შპს „ნიუტელკო ჯორჯიას“ , შპს„ მალტისოფტის“ და შპს „სტასუსის“ სარგებლობაშუ არსებულ ფართებს, თუ ეხება საჭიროა იქნება მათი წესდების თანახმად უფლებამოსილი პირების მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი) განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

..მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: მოთხოვნის შინაარსის ტექსტში ასახეთ საკადასტრო გეგმის მონაცემის მიხედვით რომელი შენობის შესასვლელი პორტიკის ნაწილში გეგმავთ სარეკლამო აბრის განთავსებას . გაითვალისწინეთ:

დაცული იქნას "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი ა)– განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობა, რომლითაც საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს შემთხვევაში დათვლილი უნდა იქნას პორტიკის, შესასვლელის არეალის მიერ მოკავებული საფასადე სიბრტყის ფართობი და სარეკლამო აბრის ფართობი (მათი პარამეტრების :სიგრძე და სიგანის მონაცემების მითითებით , მეტრებში) .
გაითვალისწინეთ : რეკლამის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს საფასადე სიბრტყის ფართობის 20%–ს.

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.